პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
30 იანვარი
№ 25 (17967)
ფასი 2 კაპ.

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲡᲙᲙᲞ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲩᲐᲕᲣᲓᲒᲔᲗ ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ!

ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲙ ᲙᲞ ᲒᲠᲣᲖᲘᲘᲡ, ᲕᲔᲠᲮᲝᲕᲜᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომუნისტთა XXVI ყრილობა წარმატებით დამთავრდა, დელეგატები შინ დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

ყრილობის დელეგატი, დუშეთის რაიონსა და მთელ რესპუბლიკაში ცნობილი მექანიზატორი ოთარ რევაზიშვილი თავის მშობლიურ სოფელში მჭადიჯვარში დაბრუნდა და მაშინვე სატრაქტორო ბრიგადის წევრები მოინახულა, მეგობრებს გულდასმით მოუთხრო ის, რაც ყრილობაზე მოისმინა და ნახა. საქმითა სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ საპატიო და საამაყო წვლილი შეეტანონ ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. მათ ერთხმად დათქვეს, რომ საგაზაფხულო სამუშაოების დასაჩქარებლად ახალი ვალდებულებები იკისრონ და მოუწოდონ რესპუბლიკის მექანიზატორებს მომზადებული შეხვდნენ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ გაზაფხულს, საგაზაფხულო სამუშაოები აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულონ. ქვემოთ ვაქვეყნებთ მჭადიჯვრელი მექანიზატორების მიმართვას რესპუბლიკის ყველა მექანიზატორისადმი.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲒᲕᲘᲮᲛᲝᲑᲡ!

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲭᲐᲓᲘᲯᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ

**ᩩᩩᩩ

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. გ. ი. ლოლაძის სიტყვა

(საქართველოს სსრ მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი)

ამხანაგებო! ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა თითოეულ ჩვენგანს აკისრებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას — პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ შევიმუშაოთ ჩვენი მოძრაობის სტრატეგიული გზა უახლოესი წლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში შთამბეჭდავად თქვა ჩვენი მეგვნახეებისა და მეღვინეების მუშაობის შესახებ.

რით შეგხვდით ყრილობას, რა გავაკეთეთ და რის გაკეთებას ვაპირებთ მომავალში?

1980 წელს „სამტრესტის“ კოლექტივმა გამოუშვა მილიარდ 157 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია, “ რაც 45 მილიონი მანეთით აღემატება გეგმას.

ხუთწლედის მანძილზე წარმოების ზრდის ტემმა 72 პროცენტი შეადგინა გეგმით გათვალისწინებული 64,8 პროცენტის ნაცვლად.

მეათე ხუთწლედში ათვისებული 120 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, ამოქმედდა 103 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები.

ამუშავდა 10 ახალი ქარხანა, რეკონსტრუირებულია 30-ზე მეტი საწარმო.

აღარ მოვიყვან სხვა ციფრებს, რომლებიც მოწმობს ჩვენს უდავო წარმატებებს, “ მაგრამ, თუ მაინც შევეხები ზოგიერთ მონაცემს, მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ წარმოვაჩინო მეღვინეობის ის ბაზა, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ჩვენი შემდგომი მუშაობის გეგმები არა მარტო მეთერთმეტე ხუთწლედის, არამედ მომდევნო პერიოდის მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტისას.

ეს ამოცანები ნაჩვენებია ჩვენი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. პატარაიძის მოხსენებაში პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის თაობაზე.

ჩვენი ყრილობის დელეგატებს კარგად მოეხსენებათ ის სიძნელენი, რომელთა გადალახვაც მოუხდათ საქართველოს მეგვნახეებსა და მეღვინეებს, რათა თავი გაერთვათ განვლილი ხუთწლედის ამოცანებისათვის.

ვიტყვი მხოლოდ, რომ „სამტრესტის“ კოლექტივმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით თითქმის შეიძლებელი შეძლო და ხუთწლედის ბოლო წლებში დაფარა პირველი წლების დავალების დანაკლისი.

თუ 1972 წელს ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ 273 ათასი ტონა ყურძნის გადამუშავება, შარშან გადავამუშავეთ 790 ათასი ტონა ყურძენი.

მთელი რესპუბლიკა, დიდიან-პატარაიანად იბრძოდა ყურძნის არნახული მოსავლის მოსაწევად. 1980 წელი რეკორდული იყო — მოიკრიფა 800 ათასი ტონა ყურძენი, გადასამუშავებელი სმძლავრენი კი 70 ათას ტონას შეადგენს. როგორც ვხედავთ, საუოფლო-სამეურნეო წარმოებამ გაიცილებით გადაამეტა მრეწველობის სიმძლავრეებს.

ამ დარბაზში მყოფმა მეგვნახეობის რაიონების წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ ტაბიოლ ვასხამდით ყოველნაირ ჭურჭელში, სარკინიგზო ცისტერნებსა და სპირტსაცავებშიც კი.

მეთერთმეტე ხუთწლედში ყურძნის საშუალო მოსავალი უნდა გაიზარდოს მილიონ 100 ათას ტონამდე. „სამტრესტმა“ შეადგინა მეღვინეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეთერთმეტე ხუთწლედისათვის სასავრო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ 110 მილიონი მანეთის ოდენობით გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი ვერ უზრუნველყოფს დასახული დავალების შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ მომდინარე ხუთწლედში აშენდება ახალი და გაფართოვდება მოქმედი ქარხნები, პირველადს მეღვინეობაში „სამტრესტს“ ექნება საწარმოო სიმძლავრეთა დეფიციტი 112 ათასი ტონის ოდენობით, მეორეული მეღვინეობის ქარხნებში კი ათობით მილიონი დეკალიტრის ოდენობით. არის საშიშროება, რომ წარმოიქმნება დისპროპორცია ყურძნის წარმოებასა და მის გადამუშავებას შორის.

აი რატომ არის საჭირო, რომ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების მასშტაბებს შეესაბამებოდეს სწორი დაგეგმვა და ჩვენც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ვთხოვთ დამატებით გამოგვიყოს 130 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, რომელთა იფიქტიანი ათვისება უზრუნველყოფს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში პარტიის XXVI ყრილობისათვის.

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდება მოთხოვნილება ქართული ღვინოებზე. ვფიქრობ, მოვალისმეტყველია ის ფაქტი, რომ შარშან საბჭოთა კავშირში გამოშვებული 30 მილიონი დეკალიტრი მაღალხარისხოვანი ღვინიდან 8 მილიონი დეკალიტრი, ანუ თითქმის 27 პროცენტი, ჩვენი რესპუბლიკის წილად მოდის, ხოლო სამარკო ღვინოების ხვედრითი წონა საერთო-საკავშირო ფონდში კიდევ უფრო დიდია — 30-35 პროცენტი.

საქართველოს ბუნებრივი პირობები, აგრეთვე უნიკალური ჯიშების ყურძენი საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ ასეთი ღვინოების წარმოება.

საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ ისეთი შეანიშნავი ჯიშების ვაზის გავრცელებას, როგორიც არის ალექსანდროული, კაბერნე, ოჯალეში, უსახელაური, ალადასტური, ჩხავერი, ხიხვი, გორული მწვანე, ალიგოტე, პინო და ბევრი სხვა. ჯერჯერობით მათთვის გამოყოფილი ფართობი არ აღემატება ვენახების საერთო ფართობის 2,5-3 პროცენტს.

თუ ამჟამად სამარკო და მოტკბო ღვინოების გამოშვება მთელი პროდუქციის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს, მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის მათი ხვედრითი წონა 20 პროცენტამდე გაიზრდება, რაც საშუალებას მოგვცემს 1985 წლისათვის ამ ღვინოების წარმოება გავადიდოთ 15 მილიონ დეკალიტრამდე, 1990 წლისათვის კი 30 მილიონ დეკალიტრამდე.

განსაკუთრებით საყურადღებოა შამპანური ღვინოების წარმოება. მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის უნდა გამოვუშვათ 40 მილიონი ბოთლი შამპანური, 1990 წლისათვის კი — 50 მილიონი. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის უნდა დაჩქარდეს თერჯოლის 20 მილიონი ბოთლი სიმძლავრის შამპანური ღვინოების ქარხნის მშენებლობა, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში კი შეიცვალოს მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მანქანები და მოწყობილობა.

ღვინოებთან ერთად საერთაშორისო ბაზარზე სულ უფრო იკვლავს გზას ქართული კონიაკი. მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის კონიაკის წარმოება უნდა გაიზარდოს 2 მილიონ დეკალიტრამდე, სამარკო კონიაკის ხვედრითი წონა კი 5-დან 20 პროცენტამდე. სამწუხაროდ, ამ სიროფიანი ამოცანის გადასაწყვეტად ჯერ მზად არ გახლავართ.

მთელი რიგი წლების მანძილზე ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა საკონიაკე სპირტების დაკარგებასა და საკმაო რაოდენობით მათი რეზერვის შექმნას. ხელს გვიშლის აგრეთვე მომინანქრებული ჭურჭლის უქონლობა. ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხებს გადაწყვეტაში დაგვეხმარება რესპუბლიკის მთავრობა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო.

მეღვინეობის განვითარება შეუძლებელია თანამედროვე მაღალმწარმოებელი ტექნიკის გარეშე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავასპეციალოთ თბილისის საწარმოო გაერთიანება „სანეგვინომაქანა“ პირველადი მეღვინეობისათვის საჭირო მოწყობილობის, ავტომატური ხაზების, ცისტერნების, საკონიაკე სპირტის გამოსახდელი აპარატებისა და სხვა ტექნიკის გამოშვებაზე. ვფიქრობ, ცოდი არ იქნება თუ რესპუბლიკის რამდენიმე საწარმო დასპეციალიზდება ღვინის შიდასაქარხნო ტრანსპორტირებისათვის საჭირო მოწყობილობისა და სასაწყობე მეურნეობის მექანიზაციის გამოშვებაზე.

დღეს მეღვინეობის პრობლემებს იკვლევს ბევრი სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო, მაგრამ მათი მუშაობის ეფექტიანობა დაბალია იმის გამო, რომ ეს მუშაობა სათანადოდ არ კოორდინირდება. კარგი იქნებოდა კადრებისა და მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მქონე საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შეგვიქმნა მეღვინეობის ერთიანი დიდი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას სასწავლო-საკოსო კომბინატი, მძლავრი მატერიალური ბაზით და თავიანი საერთო საცხოვრებლით.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ თითოეული კომუნისტი პასუხისმგებელია სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის. ვინ არ იცის თბილისის შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანებაში მომხდარი სამწუხარო შემთხვევა. დიდი ოდენობით სახელმწიფო საკუთრების დატაცება იმ დანაშაულებრივი დაუდევრობის უშუალო და ლოგიკური შედეგი იყო, რომელსაც იჩენდა არა მარტო ამ გაერთიანების, არამედ მთელი „სამტრესტის“ ზოგიერთი მუშაკი. გულახდილად უნდა ითქვას, რომ თაღლითებსა და მაქინატორებს დღესაც მთლიანად ვერ მოგუსპეთ ბნელ-ბნელი საქმეების გაჩარხვის შესაძლებლობა. საკმარისად არ ვაკონტროლებთ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას. ყოველთვის პრინციპული, მომთხოვნელად არ ხდება კადრების შერჩევა, ხშირად ფორმალურად მოქმედებენ საწარმოებში შექმნილი სოციალისტური საკუთრების დაცვის კომისიები. ერთი სიტყვით, ამ დარგშიც კიდევ ბევრი რამ უნდა ვიღონოთ საქმის დასაუმჯობესებლად, ორგანიზებულობის ასამაღლებლად, სათანადო წესრიგის დასამყარებლად. „სამტრესტის“ კომუნისტები სწორედ ამას აკეთებენ. (ტაში).

ამხ. ი. ნ. ორჯონიკიძის სიტყვა

(საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობების ისტორიაში საქართველოს კომკავშირი პირველად შეეგება XXVI ყრილობას სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით, რომელიც კომკავშირელთა ყველა თაობას ეკუთვნის.

დღეს გვსურს დიდი მადლობა გადავუხადოთ საქართველოს კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ახალგაზრდობაზე ზრუნვისა და ყურადღებისათვის, კეთილი, გამამხნევებელი და დამრახმელი სიტყვებისათვის, რომლებიც რესპუბლიკის ახალგაზრდობის, კომკავშირის მისამართით თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

ჩვენ მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ, მაგრამ მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვაქვს, რადგან კომკავშირული მუშაობის ბევრ უბანზე ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ შესაბამის შედეგებს. დიახ, გაკეთებულს არ ვჭერდებით და ვცდილობთ ახალ მოგნებს მივაღწიოთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდაში.

მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით დასახული ამოცანები სულ უფრო მეტ მოთხოვნებს გვიყენებს ახალგაზრდა კადრების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით. საქმე ეხება სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ახალგაზრდობის ხვედრითი წილის კვეთრ ამაღლებას, ახალგაზრდა კადრების დამკვიდრებას, განსაკუთრებით სასოფლო და სამელიორაციო მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სამთო, ნავთობგადამამუშავებელ, გაზის, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. მაგრამ უკანასკნელი ათი წელია, „საქნავთობის“ საწარმოებში თითქმის განახევრდა ახალგაზრდობის რიცხვი. ასეთი დენადობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ გაერთიანების ხელმძღვანელობა ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ახალგაზრდა მუშებს. ამავე მიზეზით არის გამოწვეული რესპუბლიკაში ტექნიკურ-ტექნიკური ბაზა. შენდება ახალი უნივერსიტეტის კომპლექსი, ბიოლოგთა კორპუსი, საერთო საცხოვრებლები, მთავრდება ბიბლიოთეკის უნიკალური შენობის აგება, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მთელი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლთა ბიბლიოთეკებს შორის, უნივერსიტეტი აღიჭურვება უახლესი მეცნიერული მოწყობილობით, რაც უნიკალური კვლევის შესაძლებლობებს ქმნის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყალიბდება რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრები. ბოლო წლებში ერთ ასეთ ცენტრად იქცა მაღალი ენერგიის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ეს მიღწევები შესაძლებელი გახდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარების მეშვეობით.

ბუნებრივია, ბოლო საქართველოს სსრ მეცნიერიანობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიქმნას მექანიზაციის უბანი.

ჩვენი რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საბურსათო პროგრამის შესრულებას. წინასწარი მონაცემები საიმედოა. ახალ ხუთწლედში მივაღწევთ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოების ზრდის არნახულ ტემპს.

მაგრამ სიძნელეებიც გვაქვს. მაგალითად, ჭიათურიდან ზუგდიდის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა, რომელსაც საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტი აწარმოებს. 16 მილიონი მანეთიდან ორი წლის განმავლობაში მხოლოდ 2 მილიონ მანეთზე ცოტა მეტია ათვისებული. დარჩენილ ორ წელიწადში ასეთი ტემპით 14 მილიონი მანეთის ათვისება შეუძლებელია.

ზინდა საგანგებოდ შევეხო ვეტერგოლმას მეურნეობის გაძღოლაში, დიდძალი სახელმწიფო სახსრების უმიზნოდ ხარჯვას. ეი რამდენიმე მაგალითი: ზუგდიდის სანერგე მეურნეობაში 1977 წელს თერმული წყლების ძიებისათვის განხორციელდა 110 ათასი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სამუშაოები. მაგრამ წყალი აქ ჯერაც არ არის.

ეს საკითხები უკეთ უნდა გადაგადწყვიტონ ერთად კომკავშირმა და შესაბამისი დარგების ხელმძღვანელებმა. ამ პრობლემას უფრო ღრმად უნდა ჩასწვდეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიაც.

ცნობილია, რომ ინტენსიური ზრდის, კერძოდ, წარმოების ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მეცნიერული ძიება, ტექნიკური პროგრესი. ამ საქმეში ყველაფერი რიგზე გვაქვს. მაგალითად, ავიღოთ მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიც არის ქიმიური მრეწველობა.

ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლაბორანტებად მუშაობს 18 მეცნიერებათა კანდიდატი, მათ შორის 7-ქიმიის ფაკულტეტზე; ამის პარალელურად მოსკოვის სამეცნიერო ცენტრების მიზნობრივ ასპირანტურაში მზადდება კიდევ 15 ქიმიკოსი, მაშინ როცა რესპუბლიკის ქიმიურ მრეწველობაში მუშაობენ მხოლოდ ერთეული მეცნიერი სპეციალისტები. ხუთწლედში უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე არც ერთ ასპირანტს არ დაუცავს საკანდიდატო დისერტაცია რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საკითხებზე. საერთოდ ამ ფაკულტეტზე უკანასკნელ ხუთ წელიწადში დისერტაციების დიდი ნაწილი მომზადდა არა გეგმით, ასპირანტურის გზით, არამედ მაძიებლობისა და სახელშეკრულებო თემებზე ახალგაზრდა მეცნიერთა გაფორმების გზით. მეცნიერთა კადრების მომზადების ასეთი სტიქიური პროცესი შეუწყნარებელია.

ყრილობისათვის მზადების დღეებში შევხვდით ჩვენი რესპუბლიკის 300-ზე მეტ ასპირანტს, რომლებიც სწავლობენ მოსკოვის სამეცნიერო ცენტრებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც გამოირკვა, ასპირანტების 17 პროცენტი მუშაობს მეცნიერების ისეთ დისციპლინებსა და მიმართულებებში, რომლებიც არც ახლა და არც უახლოეს 10-15 წელიწადში არ დაინერგება რესპუბლიკაში, მიზნობრივ ასპირანტთა 40 პროცენტი სრულიად მოსწყდა კოლექტივებს, რომლებმაც ისინი სასწავლებლად გაგზავნეს. ასეთ ფაქტებს ვაწყდებით ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებთან მუშაობის თითქმის ყველა უბანზე. სწორედ ამის გამო საჭიროა ყოველმხრივ შევისწავლოთ ეს საკითხი და განვიხილოთ იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ პლენუმზე.

კიდევ ერთი პრობლემა. ეს არის ახალგაზრდობისათვის გათვალისწინებული პოლიტიკური ლიტერატურის, პოლიტიკური პლაკატის, სიმღერების, სპექტაკლების, ფილმების ნაკლებობა. ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვან კულტურის სამინისტრომ, გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა. ყრილობის მუშაობის დღეებში საქართველოს კომკავშირმა, ახალგაზრდობამ ენთუზიაზმით დაიწყო პატრიოტული ლაშქრობა „თითოეული კომკავშირელი, ქალიშვილი და ჭაბუკი — მეთერთმეტე ხუთწლედის მოწინავე ბაზაზე“.

წარმოდგენილი გვაქვს დასახული მიზნის სიდიადე და ვეცდებით მივაღწიოთ მას კომკავშირული მუშაობის დონის ამაღლების, ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობის უზრუნველყოფის გზით.

მეთერთმეტე ხუთწლედი საქართველოს კომკავშირისათვის იქნება რესპუბლიკის ახალშენებლებისადმი აქტიური კომკავშირული შეფობის ხუთწლედი, რომლის მატიანის პირველი ფურცელი იწერება ამ დღეებში — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის სახელობის პირველი კომკავშირული ნაზმი — 80 მოხალისე გაემგზავრა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქციაზე მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს კომკავშირმა ალდებულება იკისრა მეთერთმეტე ხუთწლედი გადაკეთოს სოფლად თავისი მუშაობის გააქტიურების ხუთწლედად: აღადგინოს 60-ზე წლებში დაწყებული კომკავშირული ლაშქრობა პლანტაციებში. მეჩაიეობის, ციტრუსოვანთა ინტენსიფიკაციისათვის, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

ახალგაზრდობის ძალების გამოყენების კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი უბანია მწირი და არაინტენსიური მიწების ათვისება.

საქართველოს კომკავშირი უკვე ყურადღებით არ დატოვებს ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორიც არის გამაჯანსაღებელ-აღმზრდელობითი კომპლექსის „მზიურის“ პროექტის განხორციელება. შავი ზღვის სანაპიროზე პიონერული ქალაქის შექმნა.

საქართველოს ახალგაზრდობის სახელით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიროს, პირადად ჩვენი პარტიის ხელმძღვანელს, საბჭოთა ახალგაზრდობის მასწავლებელსა და დიდ მეგობარს ამხანაგ ლენინად ილიჩ ბრეჟნევს, რესპუბლიკის კომუნისტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღვუთქვამთ, რომ საქართველოს კომკავშირი, ახალგაზრდობა ყველაკვე იქნება კომუნისტების მის მშენებლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში (ტაში).

ამხ. ი. თ. თოდუას სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც განუხრელად ხელმძღვანელობდნენ ეკონომიკისა და სოციალური განვითარების დარგში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მეათე ხუთწლედში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს: მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა გეგმით გათვალისწინებული დავალებები ყველა ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით.

კიდევ უფრო დიდი ამოცანებია დასასული ჩვენ წინაშე მეთერთმეტე ხუთწლედში. ერთი მათგანია — ჩაის ხარისხის გაუმჯობესება. ეს ამოცანა ჩვენგან უწინარეს ყოვლისა მოითხოვს ჩაის ფოთლის წარმოებასა და გადამუშავებას შორის არსებული დისპროპორციის ლიკვიდაციას. მაისში, გახურებული ჩაის კრეფის დროს, ჩაის ფაბრიკების ნაკლებობის გამო მარტო ზუგდიდის რაიონში სულ ცოტა 10 ათასი ტონა ნედლეული იკარგება. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია არ დაველოდოთ დიდი ფაბრიკების მშენებლობას და არსებული ფაბრიკებში გავზარდოთ ღუმელების რაოდენობა. ამასთან ერთად, ზოგიერთ მეჩაიეობის მეურნეობას საშუალება აქვს ჩაის მრეწველობასთან კოოპერირების გზით ააგოს ეგრეთ წოდებული „მიკროფაბრიკები“. მათ ეფექტიანობას მოწმობს სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფაბრიკის მაგალითი, რომელმაც შეასპეტბლიკაში სუფევს ჭეშმარიტად შემოქმედებითი შრომის სულისკვეთება. პარტიული ორგანიზაციები, მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია ერთსულოვნად იწონებენ ლენინური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მზად არიან იმ ამოცანების ხორცშესხმისათვის, რომლებიც მოცემულია ძირითად მიმართულებების პროექტში, ესოდენ აღფრთოვანებით რომ აღიქვა ყველამ. ასეთი ატმოსფერო საფუძველს გვაძლევს აპარიდან წარმოგზავნილ ყრილობის დელეგატთა სახელით, ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, საქართველოს კომუნისტთა უმაღლეს ფორუმს, რომ საბჭოთა აჭარის კომუნისტები, მშრომელები კვლავაც თავდადებით დაიკავებენ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს და მთლიანად ხუთწლედს, სასახელოდ შეხვდებიან მშობლიური პარტიის XXVI ყრილობას, საბჭოთა საქართველოს და რესპუბლიკის კომპარტიის 60 წლის სახელოვან იუბილეს. (ტაში).

ამხ. ვ. რ. პაპუნიძის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! ყრილობიდან ყრილობამდე პერიოდი, რომლის შესახებაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ანგარიშს აბარებს რესპუბლიკის კომუნისტთა უმაღლეს ფორუმს, განსაკუთრებულია თავისი შინაარსით, მნიშვნელობით, შედეგებით. ეს არის ხუთწლედი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრავალმხრივი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა კომუნისტების, მშრომელთა დასარაზმავად საქართველოს რესპუბლიკის, მისი პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ისტორიული მნიშვნელობის დადგენილებათა პრაქტიკული ხორცშესხმისათვის, რომლებსაც სათავე დაუდო თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცნობილმა გადაწყვეტილებამ. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი სიხარული, რომელიც გამოიწვია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილმა მოლოცვამ, მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების საქმეში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევების მაღალმა შეფასებამ.

საქართველოს მშრომელებმა კარგად იციან, რომ უდიდესი წარმატებები ეკონომიკის, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში, რომლებიც მოპოვებულია უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სისტემატური მზრუნველობის, მხარდაჭერისა და დახმარების შედეგია. ამიტომაც საყოველთაოსახალხო აზრის გამომხატველია ულრმესი მადლიერების სიტყვები, წითელ ზოლად რომ გასდევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო მოხსენებას, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ, დღევანდელ ყრილობაზე ღირსეული ანგარიშით რომ მოსულიყო, დიდი მუშაობა გასწია. ორგანიზატორული, პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებით მიღწეულია ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დინამიკური და სტაბილური განვითარება. როგორც მთლიანად საქართველოსათვის, ისე აჭარისათვის, მეათე ხუთწლედი იყო საუკეთესო, 1980 წელი კი განსაკუთრებული. ამ წარმატებებს ჯეროვანი შეფასებაც მიეცა: აჭარამ უკანასკნელ წლებში 6-ჯერ, ხოლო მეათე ხუთწლედის 4 წლის შედეგების მიხედვით — სამჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოვდა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით, ერთხელ კი რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით, აგრეთვე საკავშირო საპატიო სიგელით და დიპლომით.

საბოლოოდ ხუთწლიანი გეგმით დასახულ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპს მივაღწიეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის, ხოლო 1980 წლის ბოლოსთვის გადავაჭარბეთ 7,3 პუნქტით. აღსანიშნავია, რომ მეათე ხუთწლედში აჭარაში ახალი სამრეწველო ობიექტის აშენება არ ყოფილა გათვალისწინებული და მრეწველობის პროდუქციის ზრდის ძირითად ბერკეტად გამოვიყენეთ ინტენსიფიკაციის ფაქტორები, არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია — მოდერნიზაცია.

წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარებასთან ერთად პოლიტიკური ამოცანის დონემდეა აყვანილი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია აჭარის სახალხო მეურნეობაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საკითხისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (1977 წლის თებერვალი) რეკომენდაციებმა, რომლებიც წიგნად გამოიცა. შემუშავდა და დაინერგა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, რომლის გამოყენებითაც ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა სამრეწველო წარმოების მთლიან მოცულობაში 1975 წლის 9,5 პროცენტიდან 1980 წელს გაიზარდა 23,1 პროცენტამდე, ანუ თითქმის 2,5-ჯერ.

მეათე ხუთწლედი აღინიშნა აჭარის სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარებით. სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა ძირითადი სახის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის დავალებანი გადაჭარბებით გავანაღდეთ, მეჩაიეობასა და მეციტრუსეობაში კი—4 წელიწადში და შარშან ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები და მეციტრუსეები უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალების შესაბამისად შექმნილი სასურსათო პროგრამის შემმუშავებელი კომისია ავტონომიურ რესპუბლიკაში და რაიონებში მოიცავს სოფლის მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ ყველა სოციალისტურ საწარმოებს, ამ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით საქართველოს საზღვაო სანაოსნომ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება აჭარის მაღალმთიანი რაიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების თაობაზე ჩვენმა მშრომელებმა მიიჩნიეს ისტორიულ, საეტაპო დოკუმენტად, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რეგიონის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისა და მთისა და ბარის ზონების მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი დაახლოებისათვის. არის პირველი შედეგებიც. მაგალითად, 1975 წელს აჭარის მთის რაიონებში საშუალოდ ერთ საკოლმეურნეო კომლზე ვანგაგრიშებით კოლმეურნეობიდან მიღებული შემოსავლისა და სახელმწიფოსათვის კოლმეურნეთა მიერ მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი 5,4-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე სუბტროპიკულ ზონაში. 1980 წელს კი ეს თანაფარდობა მნიშვნელოვნად დაახლოვდა და შეადგინა 1 : 3. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა საკარმიდამო მეთაბაქოეობის განვითარებამ, რამაც ხელი შეუწყო კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწების ეფექტურ გამოყენებას და მათი შემოსავლის ზრდას. მთის რაიონებში უფრო მეტადაა განვითარებული საკარმიდამო მეცხოველეობა. გარდა ამისა, მთის რაიონებში შენდება და ფართოვდება ბათუმის მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ფილიალები, ვითარდება ადგილობრივი მრეწველობის დარგები და ა. შ., რასაც დიდი ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა აქვს.

ავტონომიური რესპუბლიკის წარმატებები განაპირობა პარტიის მიზანდასახულობათა შესასრულებლად აჭარაში მცხოვრები 80-მდე ეროსა და ეროვნების შრომელთა თავდადებულმა შრომამ, ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობისა და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის ძალამ.

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

(დასასრული)

ტებს ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე. გარდა ამისა, ქვეყნის შვიდი ცნობილი სამედიცინო ინსტიტუტის 250 კურსდამთავრებულმა, რომელთაც 2-3 წლის მუშაობის სტაჟი ჰქონდათ, ვერ შეძლო პასუხი გაეცა სპეციალობის მიხედვით დასმულ ელემენტარულ კითხვებზე. დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა ახალგაზრდა ინჟინერთა კადრების ცოდნაც. ეს ფაქტები სერიოზულად გვაფიქრებს უმაღლესი სკოლის პრობლემებზე.

სპეციალისტთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება. პირველი — უმაღლესი სკოლის შვილების უზრუნველყოფა შესაბამისი კონტინგენტით, მეორე — სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის პროცესი, სტუდენტებისათვის პროფესიული ცოდნისა და ჩვევების გადაცემა, მესამე — კურსდამთავრებულთა ჩაბმა პროფესიულ საქმიანობაში, მათი განაწილება. ყოველ ამ ეტაპზე გაწეულ მუშაობაში უმაღლესი სკოლა უაღრესად აქტიურად უნდა მონაწილეობდეს.

პირველი ეტაპი ძირითადად მისაღები გამოცდების მოწყობის გზით ხორციელდება. მათი სისტემა მოითხოვს შემდგომ სრულყოფას. ამ სისტემის მთავარ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მისაღები გამოცდების დროს ძირითადად ფასდება ინტელექტის ცოდნის მოცულობა, და არა მისი შემოქმედებითი პოტენციალი და უნარი. მისაღები გამოცდების ღირებულებაზე ანალიზმა აგრეთვე ცხადყო, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდობის სათანადო მომზადებას. უნივერსიტეტში ამასთან დაკავშირებით ისახება გეგმები. კერძოდ, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო შეიქმნა ერთ-ერთ ასეთ ფორმად. ეს ორგანიზაცია ეხმარება ახალგაზრდა მეცნიერებს ინიციატივით შექმნილმა დაუსწრებელმა სკოლებმა. ასეთია, მაგალითად, ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელი სკოლა საქართველოს რაიონების მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ხოლო თბილისელი ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის მუშაობს ანალოგიური სტაციონარული სკოლა. ყველა ეს ღონისძიება მიზნად ისახავს უნივერსიტეტისათვის ღირსეული ახალგაზრდა ცვლის მომზადებას, მათ განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები.

მისაღები გამოცდების დროს ატესტატის საშუალო ქულის გათვალისწინების ზიანის მეტი აფეფერი მოაქვს. ჯერ ერთი, უმაღლესი „საშუალო ქულის“ გამოდენენა ფაყოფოთ გავლენას ახდენს საშუალო სკოლის მუშაობაზე. და, მეორეც, ხელს უშლის ნიჭიერი ახალგაზრდობის შერჩევას. მისაღები გამოცდები რომ ყოველთვის ამგვარად მოწყობილიყო, საქვეყნოდ განთქმული ბევრი მეცნიერი შესაძლოა ვერ მოხვედრილიყო უმაღლეს სასწავლებელში.

მოსამზადებელი განყოფილებანი ხელს უწყობს უმაღლესი სასწავლებლის შვილებას მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობით. ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეა, მაგრამ იგი გონივრულ მიდგომას საჭიროებს. აქ ისეთი ქალიშვილები და ჭაბუკები უნდა მეცადინეობდნენ, რომლებიც შესაბამისი მომზადების შემდეგ სრულიად უშეღავათოდ წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებელში.

სტუდენტური სასწავლო პროცესი ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადების მეორე ეტაპია. ეს არის უმაღლეს სკოლაში ყოფნის ძირითადი წლები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების საკითხთან, ვინაიდან დღევანდელი სტუდენტი წარმოუდგენელია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარეშე. ამიტომ უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერება, თავისი საერთო მნიშვნელობის გარდა, უდიდეს როლს ასრულებს პედაგოგიური ასპექტითაც. მაგრამ მეცნიერების დაყოფამ აკადემიურ და საუნივერსიტეტო მეცნიერებად გააღარება უკანასკნელი, რის შედეგადაც ახალგაზრდა კურსდამთავრებული სპეციალისტი ხშირად მოუმზადებელია სამეცნიერო მუშაობისათვის, ვერ ფლობს მეცნიერული კვლევის ჩვევებს. სწორედ ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა განვავითაროთ საუნივერსიტეტო მეცნიერება, დავუახლოვოთ იგი აკადემიურ მეცნიერებას. უნივერსიტეტმა შექმნა საბაზო კათედრები სამეცნიერო-კვლევითს, უწყებრივ დაწესებულებებსა და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, სამრეწველო საწარმოებში. ასეთი ურთიერთკავშირი დიდ თეორიულ და პრაქტიკულ შედეგებს მოუტანს როგორც უმაღლეს სკოლას, ისე სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებსა და სახალხო მეურნეობას. საბაზო კათედრები მუშაობს ბევრ აკადემიურ დაწესებულებაში, მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, გამოთვლითს ცენტრში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მთოწში“, სადაც იქმნება სანიმუშო საბაზო კათედრა. უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა სჭირდება სწავლების ტრადიციულ მეთოდებს. უნდა გაიზარდოს პრაქტიკული და სასემინარო მუშაობის ხვედრითი წილი. გარდა ამისა, დადგა დრო, უფრო აქტიურად შემოვიღოთ მეცადინეობა ეგრეთ წოდებული ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გავრცელდა ჩვენში.

და, ბოლოს, მესამე ეტაპი — კურსდამთავრებულის შრომითი მოწყობა. აქ უნდა ამაღლდეს უმაღლესი სკოლის როლი და პასუხისმგებლობა. უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება სახელმწიფოს 18-20 ათასი მანეთი უჯდება. ადვილი წარმოსადგენია, რას ნიშნავს ყოველი დაკარგული, სახალხო მეურნეობაში გამოუყენებელი სპეციალისტი. თბილისის საქარხნო რაიონის ხელმძღვანელობასთან საქმიანი თანამშრომლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უმაღლესი სკოლის დახმარებით კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის განხორციელება უფრო ოპტიმალურად შეიძლება. ზემონათქვამთან დაკავშირებით, ალბათ, უნდა აღინიშნოს ჩვენი უნივერსიტეტის იმ ჩანაფიქრის დიდი მნიშვნელობა, რომ თავისი სპეციალისტების შემწეობით შიმუშაოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების გეგმა-პროგნოზი 1990 და 2000 წლამდე. (ტაში).

ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი)

ამხანაგებო! მინდა ჩემი გამოსვლა იმით დავიწყო, რომ შევუერთდე დელეგატთა ერთსულოვან აზრს: საქართველოს კომუნისტთა XXVI ყრილობა განსაკუთრებული აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობს. ეს უთუოდ განაპირობა იმ დიდმა მუშაობამ, რომელიც გასწიეს რესპუბლიკის ყველა რეგიონისა და ყველა რგოლის პარტიულმა ორგანიზაციებმა. ეს აქტიურობა განაპირობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბაზმა, რომელიც ყრილობის მოწვევამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე შეუშაავდა. მისი მთავარი მოთხოვნები იყო მუშაობისა და მართვის დემოკრატიული პრინციპების გაღრმავება, კომუნისტთა აქტიურობის ამაღლება და დისციპლინის განმტკიცება.

გუშინ დელეგატთა სამუშაო ჯგუფმა განიხილა აგროსამრეწველო კომპლექსისა და სასურსათო პროგრამის აქტუალური პრობლემები. საკითხის განხილვაში მონაწილეობდა 21 დელეგატი. მათი კონკრეტული წინადადებები და შენიშვნები საფუძვლად დაედო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომლებიც წარედგინა ყრილობის სარედაქციო კომისიას და ალბათ, აისახება ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტებში.

დელეგატთა ჯგუფის მუშაობა, ისევე როგორც საერთოდ ჩვენი ყრილობა, მიმდინარეობდა იმ წარუშლელი შთაბეჭდილებებით, ყრილობის ყველა დელეგატზე რომ მოახდინა მეცნიერული ანალიზით შემოწმებულმა მაღალკომპეტენტურმა საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც ყრილობას წარუდგინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. მოხსენებაში ყოველმხრივ და ამომწურავად იყო გაშუქებული რესპუბლიკის აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული შუმაობა განვლილ მეათე ხუთწლედში შესანიშნავ ისტორიულ პერიოდად შევა ჩვენი ხალხის მგრეული მატიანეში. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტებით ეს შინაგა პარტიის XXV ყრილობის პოლიტიკური კურსის — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედების, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების კურსის თანამიმდევრულ შემოქმედებითის განხორციელებას, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევისათვის შეუნელებელ ბრძოლას.

ჩვენ, საქართველოს კომუნისტები, ყოველთვის და განსაკუთრებით დღეს, საყვარულითა და მადლიერების გრძნობით მივმართავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევს იმ ტიტანური შრომისა და ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენენ საბჭოთა ადამიანებისადმი, ყველა ერისა და რესპუბლიკისადმი.

ჩვენ ყველას გვახსოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ისტორიული დადგენილება პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის თაობაზე. გვახსოვს ისიც, რომ გამოქვეყნებისთანავე მას სათანადო შეფასება არ მიეცა, ზოგმა ისიც კი იფიქრა, ეს დადგენილება მარტო თბილისის ორგანიზაციას ეხებაო, ამით გული დაიმშვიდა, ხოლო ზოგმა პირდაპირ განაცხადა, ასეთი ნაკლოვანებები ყველა საქალაქო ორგანიზაციის მუშაობაში შეინიშნებაო, და ინერციით განაგრძო მუშაობა.

დარწმუნებით შეიძლება თქვას, რომ ნამდვილი ბრძოლა იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც პარტიული პრინციპულობით ამხილა ამ ისტორიულმა დოკუმენტმა, ალბათ კიდევ დიდხანს არ დაიწყებოდა, შემდგომში რომ არ გადადგმულიყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როგორც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა, ლ. ი. ბრეჟნევის თქმით, „ენერგიული და გაბედული ადამიანი“ ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

ახლა, ალბათ, ძნელია მოიძებნოს ისეთი ადამიანი, მხედველობაში მყავს კეთილსმსურველი ადამიანი, რომელისთვისაც საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, 1972 წელი ძლვარი აღმავლობის დასაწყისი გახლდათ. ამიტომ ყრილობის დელეგატებმა სწორად უნდა გაგვიგონ, როცა მთელ რიგ მონაცემებს 1972 წლისას ვადარებთ. მაგრამ ზოგიერთი 1972 წელთან შედარებას მართებულად არ მიიჩნევს, ვინაიდან ეს წელი სოფლის მეურნეობაში მოუსავლიანი წელი იყო. მე კი, როგორც კომუნისტს, მიმაჩნია, რომ ამ წლის უკანასკნელი პერიოდი ყველაზე მოსავლიანი და ნაყოფიერი იყო, რომ ეს წელი საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის შემობრუნების წელი გახლდათ, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ეტაპს, ჩვენს ახლებურ ყოფა-ცხოვრებას, საქმიანობას, რომელთაც შესანიშნავი წინამძღვარი შექმნა მომავალი გამარჯვებისათვის; ეს ნიჭიერების, გულწრფელობის, პატიოსნების, საკითხებისადმი პარტიული და სახელმწიფოებრივი მიდგომის, ყოველივე საუკეთესოს, პოზიტიურის დამკვიდრებისა და განსაკუთრებულად წარმოჩენების, ამავე დროს ყოველივე ნეგატიურის წინააღმდეგ შეურიგებელი პრძოლის დაწყების წელი გახლდათ.

მოდით, მეათე ხუთწლედის მაჩვენებლები შევადაროთ მეშვიდე და მერვე ხუთწლედების მაჩვენებლებს. მეათე ხუთწლედის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში 2 მილიონ 300 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ყურძენი, ხილი, ციტრუსი, ბოსტნეული, კარტოფილი და ხორცი დაშზადდა, ვიდრე ორ ხუთწლედში ერთად აღებული. დამერწმუნეთ, ეს საკმაოდ დიდი გამარჯვებაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ყოველ ხუთწლედს თავისი გმირები ჰყავს, გამონაკლისი არც მეათე ხუთწლედია“. თუ არა გმირობა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ თავდადებულ შრომას, რომელმაც უზრუნველყო რესპუბლიკის მიერ ძნელ პირობებში მოპოვებული გამარჯვება. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ უდიდესი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ ყველა და განსაკუთრებით ის, ვინც თავი დაადგა ამ დიდ გამარჯვებას.

მოპოვებული გამარჯვებები ჩვენთვის იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ისინი საფუძვლად დაედო მეთერთმეტე ხუთწლედის რთულ ამოცანებს, რომლებიც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის დადგენილებამ „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების შესახებ“.

სკკპ XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ — აღნიშნულია, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე 22-24 პროცენტით უნდა გაეზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა, განვაგრძოთ მისი სპეციალიზაცია, მევენახეობის, მეჩაიეობის, სუბტროპიკული მეხილეობის ხაზით. მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკამ სახელმწიფოს უნდა მიაყიდოს 8 მილიარდ 212 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რაც 1,5 მილიარდი მანეთით, ანუ 21 პროცენტით აღემატება გასული ხუთწლედის მაჩვენებლებს. ეს საკმაოდ რთული, მაგრამ დიდად სპპატიო ამოცანაა რესპუბლიკის სოფლის მშრომელებისათვის. მაგრამ ამ გეგმების შესრულების შემთხვევაშიც კი ჩვენ ვერ გადავწყვეტთ მთლიანად მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების ყველა პრობლემას. არის ამხანაგების ჯგუფი, რომელიც გვირჩევს მოვითხოვოთ საკავშირო ფონდიდან მეცხოველეობის პროდუქტების მოწოდების გადიდება, არის მეორე ჯგუფი ამხანაგებისა, რომლებიც გვირჩევენ შევამციროთ ჩაის, ციტრუსების, ვენახების, ხეხილის ბაღებისა და სხვა სამხრეთული კულტურების გაშენება და ამ ბრძ გაგადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, მაგრამ ცენტრალური კომიტეტი ვერც ამ გზით წავა, ვინაიდან აღნიშნულ კულტურებს დიდი მნიშვნელობა აქვს საკავშირო სასურსათო პროგრამისათვის, ხოლო საერთო საკავშირო დოვლათში რესპუბლიკის წვლილის სისტემატური გადიდება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნია. იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის შეწონასწორებისათვის აუცილებელი პროდუქტების წარმოების გადიდება ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ზიანი არ მიადგეს იმ დარგებს, რომელთა მეშვეობით წვლილი შეგვაქვს საკავშირო დოვლათის შექმნაში.

პლენუმის ამ მითითების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ უკვე დაამტკიცეს ცალკეული დარგების განვითარების პროგრამები, ხოლო ნაწილი დამუშავების პროცესშია და უახლოეს დროში იქნება განხილული.

სპეციალური დადგენილება მზადდება კოოპერაციის გზით საკარმიდამო მეურნეობაში მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის, ბალახეულ ბაზაზე ფერმების ორგანიზაციის, ინტენსიურ-სამეურნეო ტექნიკის არასაკმაოდ ეფექტიანად გამოყენება, სამეურნეო-საფინანსო საქმეში არსებული ნაკლოვანებები და სხვა, რაც ხშირად სასოფლო-სამეურნეო დარგისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის ბრალია.

მე, როგორც ამ დარგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვგრძნობ პასუხისმგებლობას ამ ნაკლოვანებებისათვის და ვიღებ ამ შენიშვნებს. ეს პასუხისმგებლობა ასევე ეკისრება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ო. გ. ვარძელაშვილს, ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი განყოფილებების გამგეებს ამხანაგებს ლ. ლ. ზაქაიძეს, ნ. ლ. ჯაფარიძესა და გ. ვ. ჭირაქაძეს.

ამასთან, ჩვენი აზრით, ამ ნაკლოვანებებისათვის არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამინისტროებსა და მათს ხელმძღვანელებს, რომლებიც უშუალოდ წარმართავენ დარგების საქმიანობას. ის, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებები შეინიშნება მიწების, სარწყავი წყლის, ტექნიკის და სხვა მატერიალური თუ შრომითი რესურსების გამოყენების საქმეში, უწინარეს ყოვლისა დღის წესრიგში აყენებს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობის გარდაქმნის, პირადად მინისტრის ამხ. შ. მ. ეცადაშვილის და მისი მოადგილეების მუშაობის ძირეული გაუმჯობესების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, მისი მინისტრის ამხ. გ. ბ. გადელიას აქტიურობის ამაღლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პრობლემების გადაწყვეტაში საქომსოფლტექნიკის ხელმძღვანელობის, მისი თავმჯდომარის ამხ. დ. ე. სარიშვილის როლის ამაღლების აუცილებლობას.

ჩვენთან ერთად, და უმრავლეს შემთხვევაში უფრო კონკრეტულადაც, არსებული ნაკლოვანებებისათვის პასუხი უნდა აგონ იმ რაიონულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, რომლებმაც პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სათანადოდ ვერ წარმართეს ორგანიზატორული, პარტიული მუშაობა სოფლად, ვერ შეაჩერეს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, პრინციპულობის ატმოსფერო კოლექტივებში.

თუ არა უპასუხისმგებლობით, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავალს იღებენ, ათობით მეურნეობა 10 ცენტნერზე ნაკლებ მარცვლეულს, 20 ცენტნერზე ნაკლებ ყურძენსა და ხილს, 50 ცენტნერზე ნაკლებ კარტოფილსა და ბოსტნეულს იწვავს. ან რით უნდა აიხსნას, ის ფაქტი, რომ მეათე ხუთწლედში ყოველმა მეხუთე მეურნეობამ ვერ შეასრულა ხორცის, რძის, ყოველმა მეორემ — კვერცხის დამზადების გეგმები?

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ მეურნეობათა რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა, 1976 წელთან შედარებით რამდენიმე ათეულით გაიზარდა, ხოლო ცალკეული რაიონების მიხედვით კიდევ უფრო არასახარბიელო სურათია. მაგალითად, ადიგენის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების 89 პროცენტს, ამბროლაურის 84, ახალციხის 82, ონის რაიონის 80 პროცენტს არ შეუსრულებია რძის დაბარდების გეგმები.

შეუწყნარებელია, რომ ზოგიერთ რაიონში შემცირების ნაცვლად შეიმჩნევა იმ მეურნეობათა რიცხვის ზრდა, რომლებიც გეგმებს არ ასრულებენ. მაგალითად, თუ 1976 წელს საჩხერის რაიონის 16 მეურნეობიდან რძის დამზადების გეგმას მხოლოდ ერთი მეურნეობა ვერ ასრულებდა, 1980 წლისათვის ეს რიცხვი 9-მდე გაიზარდა, დმანისის რაიონში 1976 წელს გეგმას 10-ვე მეურნეობა ასრულებდა, 1980 წელს კი 6 მეურნეობამ ვერ შეასრულა გეგმა. ასეთი მეურნეობების რიცხვი ასპინძაში და თეთრ წყაროში სამჯერ გაიზარდა.

ანალოგიური მდგომარეობაა ხორცისა და კვერცხის დამზადების მხრივ ხაშურის, ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, წითელწყაროს რაიონებში.

დისციპლინა მარტო ზნეობრივი კატეგორია არ არის, დიდია მისი პოლიტიკური და ეკონომიკური რეზონანსი. პარტიული, სახელმწიფო, წაგებმა, ფინანსური დისციპლინის ყოველი დარღვევა დიდ ზიანს აყენებს ჩვენი პარტიის პოლიტიკას, ქვეყნის ეკონომიკას.

უდისციპლინობას პოლიტიკური შეფასებაც უნდა მივცეთ. სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიერ გეგმის შეუსრულებლობა უარყოფითის გავლენას ახდენს მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგებაზე, ეს კი აფუძებს ჩვენი სახელოვანი მშრომელების გულება-განწყობილებას, ზოგჯერ ქმნის მცდარ, არაჯანსაღ წარმოდგენას პარტიის აგრარულ პოლიტიკაზე. დიახ, დიდია უდისციპლინობით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზარალი.

ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ გაძლიერდეს მინდობილი საქმისადმი პარტიის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა, რა პოსტზეც უნდა იყოს იგი.

აქ კი უნდა გვახსოვდეს დიდი ლენინის შესანიშნავი სიტყვები, რომელიც ამბობდა, რომ თუ ჩვენ ბუშებსა და გლეხებს კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას, მოვალენი ვართ ეს ჩვენგან დავიწყოთ.

მე მოვახსენეთ, რომ დისციპლინა უმაღლესი ზნეობრივი კატეგორიაა. იგი საყალდებულოა ყველასათვის და ამდენად შეიძლება მასში ძალდატანების გარკვეული ელემენტიც იყოს. მაგრამ არის მეორე ზნეობრივი კატეგორია, რომელიც ხალხის გულიდან, ბუნებიდან და ქცევიდან თავისთავად მომდინარეობს. ეს ზნეობრივი კატეგორია გულწრფელობაა. გულწრფელობის მთავარი სიკეთე ის არის, რომ გულწრფელ ადამიანს შეგიძლია ენდო საქმეში, ენდო ნათქვამში, ენდო წარმოდგენაში, მიზანსა და მისწრაფებაში. ასეთ ადამიანთან მუშაობა ადვილია, სასიამოვნოც, რადგან იგი გულახდილია, თავის ავ-კარგს ხელისგულივით წინ გადაგიშლის, ამის გამო თუ ჩამორჩენა აქვს, თუ შეცდომა დაუშვა, შეგიძლია სწრაფად გაუკეთო ნაკლს ანალიზი, მიიღო სათანადო ზომები, ხოლო თუ მიღწევაზე გეტყვის, იცი, რომ იქ წამატებული არაფერია.

გულწრფელობა აადვილებს არა მარტო ადამიანურ ურთიერთობას, არამედ აჯანსაღებს მუშაობის ატმოსფეროსაც, საქმიანობის ერთადერთი კრიტერიუმი ხდება ერთმანეთის ნდობა და ერთმანეთის იმედი. ასეთ ატმოსფეროში, რა თქმა უნდა, წარმატებების მოპოვება უფრო იოლია, ნაკლსაც უფრო ადვილად მოევლება.

ვფიქრობ, დელეგატები დამეთანხმებიან, თუ ვიტყვი, რომ ყველა ის წარმატება, რომელიც მოპოვებულია საქართველოს კომპარტიის, ჩვენი ხალხის მიერ, მჭიდროდ არის დაკავშირებული დისციპლინის განმტკიცებასთან, გულწრფელობის ატმოსფეროს დამკვიდრებასთან. წინ მეთერთმეტე ხუთწლედის მაღალი მიჯნებია, ჯერ კიდევ ბევრი გადასაწყვეტი პრობლემაა. ჩვენი მოღვაწეობის ყველა რგოლში, ყველა უბანზე დისციპლინის შემდგომი განმტკიცება და გულწრფელობის ატმოსფეროს გაბატონება მომავალ წარმატებათა მძლავრ იარაღად უნდა გადავაქციოთ. (ტაში).

ამხ. ლ. ს. ცარციძის სიტყვა

(გაერთიანება „თბილისინდტანსაცმლის“ მკერავი)

ამხანაგებო! ჩვენ გვახსოვს, რაოდენ ძრასხარბიელად გამოიყურებოდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება რამდენიმე წლის წინათ. ეს შესაბამისად აისახა თბილისის პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში. დღეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი ხუთწლედის მანძილზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში საკავშირო დონეს მივაღწიეთ, ხოლო თბილისში საგრძნობლად გადავაჭარბეთ მას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შემდეგ ჩვენს საქმიანობაში დაისახა შესამჩნევი გარდატეხა. მნიშვნელოვნად გადიდდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წვრილი კუსტარული სახელოსნოების ნაცვლად შეიქმნა დიდი ინდუსტრიული საწარმოები, გაიზარდა თვით მუშაკების პასუხისმგებლობა.

გაწეული მუშაობის შეფასებისას მაინც გვრჩება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს. რა დასამალია: რესპუბლიკის ბევრ რაიონში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების გაფართოება ენერგიულ მიმდინარეობს. შეიხედეთ ჩვენს ატელიეებში, სახელოსნოებში, მიმღებ პუნქტებში და დარწმუნდებით, რომ მათს უმრავლესობას აკლია მზრუნველი ხელი. ობიექტებში ცუდად ინერგება თანამედროვე ტექნიკა, ხოლო მომსახურების პროგრესული ფორმები გაუბედავად იკვლევს გზას.

ყრილობის წინ ზოგიერთ რაიონში გახლდით. ბევრგან მომსახურება ძალიან დაბალ დონეზეა. ზოგიერთ სოფელში ისიც ვერ მოახერხეს, რომ მარტივი მიმღები პუნქტები გაეხსნათ. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ზოგან ამ საქმეს „მზრუნველი მეურვეები“ გამოუჩნდნენ, ისინი იმასაც ახერხებენ, რომ კონკურენცია გაუწიონ მომსახურების სახელმწიფო სისტემას. ესენი არიან კერძო ხელოსნები, რომელთა „საქმიანობას“ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ხშირად რატომღაც ვერ ამჩნევენ და არ აღკვეთენ. ერთი სიტყვით, სოფლად მოსახლეობის მომსახურების დონე ჯერ კიდევ სრულიად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ყველაზე მეტ უკმაყოფილებას იწვევს მომსახურების კულტურა და ხარისხი, მაგრამ, ალბათ, ყველამ არ იცის, რომ ისინი უშუალოდ დაკავშირებულია საწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან. ხშირად თვითონ ოსტატი ყიდულობს ხელზე ძაფს, ქსოვილს, მანქანის სათადარიგო ნაწილებს და ა. შ. შემდგომში იგი, რა თქმა უნდა, ცდილობს აინაზღაუროს დანახარჯები, ეს კი საგრძნობლად აზარალებს მომხმარებლებს. მომარაგება ის საკითხია, რომლის გადაწყვეტაზე თავი ოსტატმა კი არ უნდა იტეხოს, არამედ იმათ, ვისაც უშუალოდ მინდობილი აქვს ეს საქმე: სამინისტროსა და მომარაგებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა.

მთავარი მაინც კადრებთან, ადამიანებთან მუშაობის პრობლემაა. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ახალი სპეციალისტების მომზადება და მოზიდვა. ჩვენს სფეროში 30 წლამდე ახალგაზრდების ხვედრითი წილი 25 პროცენტს არ აღემატება. მუშაობისსახურთა თითქმის ნახევარს მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვს. ამიტომ საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს საშუალო სკოლების მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია, ხოლო პროფტექნიკური განათლების სისტემაში მომზადდეს უფრო მეტი სპეციალისტი.

ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები დაკინებით მოითხოვენ ახალი ობიექტების აშენებას. ერთი შეხედვით, ამაში ცუდი არაფერია. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ისინი საკმარისად არ ზრუნავენ ამ ობიექტების კადრებით დროული დაკომპლექტებისათვის.

დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენი მუშაკების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა სრულყოთ მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმები. მხოლოდ ასე შეძლებთ მოვიზიდოთ ახალგაზრდობა ჩვენს სფეროში სამუშაოდ.

ჩვენი ხალხი ოდითგანვე მისდევდა მრავალი სახის მხატვრულ რეწვას. ამას მოწმობს ძველი თბილისის, სვანეთის, ხევსურეთის, მთა-თუშეთის, მესხეთის, ჯავახეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების ოსტატთა შემოქმედების ნიმუშები.

მაგრამ ეროვნული მხატვრული რეწვის ოსტატები ბერდებიან, სულ უფრო ცოტანი რჩებიან, შემცვლელი კი არავინ ჰყავთ. სანამ გვიან არ არის, საჭიროა შიქმნას სპეციალური სახელოსნოები, სადაც ახალგაზრდობა გამოცდილი ოსტატების ხელმძღვანელობით დაეუფლება მათს ხელოვნებას.

და კიდევ ერთი პრობლემა. საქმე ეხება ჩვენს დარგში ქალთა შრომის, მათი საქმიანი და ორგანიზატორული უნარის უფრო ფართოდ გამოყენებას. უფრო გაბედულად უნდა ვენდოთ ქალებს დიდ თუ პატარა საქმეებში, დავაწინაუროთ ისინი ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

უკანასკნელ წლებში ჩვენი დარგის მუშაკებს იოლი გზით როდი უვლიათ. ისიც ვიცით, რომ არც მომავალ ხუთწლედში იქნება ჩვენი გზა ია-ვარდით მოფენილი. მაგრამ, რაც მთავარია, დარწმუნდით: მომსახურების სფერო პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. და სწორედ ეს არის ჩვენი შემდგომი წარმატებების საწინდარი. (ტაში).

ლირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავად

28 იანვარს მოსკოვში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალურ

მეცნიერის გზა

აკადემიკოს ვ. მახალდიანის

დაბადების 70-ე წლისთავის გამო

70 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ამავე აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების გაყოფილების აკადემიკოს-მდივანს, საქართველოს სსრ სახელმწიფო და გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატს პროფესორ ვახტანგ ვასილის ძე მახალდიანს.

ვ. მახალდიანმა შრომითი მოღვაწეობა 16 წლისამ დაიწყო, რათა ოჯახის მოვლა-პატრონობაში შეშველებოდა ადრე დაქვრივებულ დედას. 1927 წელს სტუდენტობისას, ვ. მახალდიანი ამთავრებს პროფესორ კ. ამირაჯიბის მიერ დაარსებულ სატრაქტორო კურსებს და უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის წლებში მუშაობს სატრაქტორო კურსების ინსტრუქტორად და მასწავლებლად.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მიდის თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში. პროფესორი კ. ამირაჯიბი ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდას ასისტენტად იწვევს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე. ქარხანაში იგი მალე დაინიშნაურეს მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაამთავრა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც წარჩინებით დაიცვა.

1938 წელს ვ. მახალდიანი აირჩიეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ახლად დაარსებული ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგედ. ამ თანამდებობაზე ვ. მახალდიანმა გამოამჟღავნა როგორც პედაგოგიური, ისე მეცნიერული და ორგანიზატორული მუშაობის დიდი უნარი. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები, ქათედრის გამგემ შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა, დაიწყო მუშაობა სახელმძღვანელოს შექმნაზე და გამოცემაზე და სათავეში ჩაუდგა იმ დროისათვის დიდ გამოკვლევებს სატრაქტორო და საავტომობილო ძრავების თეორიაში.

აღსანიშნავია ვ. მახალდიანის მიერ მოწყობილი ექსპედიციები ძრავებისა და ტრაქტორების გამოსაცდელად სხვადასხვა კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებში. ამ ექსპედიციების ჩასატარებლად მან შექმნა სპეციალური სამეცნიერო ხელსაწყოები, რომლებსაც შემდეგშიც ფართოდ იყენებდნენ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში. გამოკვლევათა შედეგებმა, რომლებიც 1941 წლამდე ქვეყნდებოდა, სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო და დიდი გამოხმაურება პოვა თითქმის ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ, სამწუხაროდ, დაწყებულ სამუშაოთა ციკლის დამთავრება ვერ მოხერხდა, ომის დაწყებიდან დამთავრებამდე ვ. მახალდიანი საბჭოთა არმიის მძიმედ ნაწილებში მსახურობდა სამხედრო ინჟინრად.

მეცნიერი თავის საყვარელ საქმეს 1945 წლის მეორე ნახევარში დაუბრუნდა, უკვე მრავალმხრივ გამოცდილი, ბევრის მნახველი, საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული. მან გაანალა შეწყვეტილი სამუშაოები და პარალელურად ვ. ბელეკაცისთან ერთად, დაამუშავა, ააგო და გამოცადა ავტომატურად ცვლადი კუმშვის ხარისხის მქონე საავტომობილო კარბურატორიანი ძრავა.

ეს მახალდიანის ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის დიდი გამარჯვება იყო. საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ძრავებს უცხოეთში ამ ბოლო დროს მიექცა ყურადღება.

1949 წელს მოსკოვში ვ. მახალდიანმა წარჩინებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მას იმავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

აკადემიკოს ვ. მახალდიანის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულება შიგაწვეს ძრავების თეორიისა და გაანგარიშების საკითხებია.

ძრავის თეორიული და იდეალური ციკლების გამოკვლევის შედეგად ვ. მახალდიანმა დაადგინა სადროსული ციკლის თერმული მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობა, რის საფუძველზე დამტკიცდა, რომ კარბურატორიან ძრავაში დატვირთვის შემცირებისას არ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ინდიკატორული მარგი ქმედების კოეფიციენტის ვარდნა. ეს მნიშვნელოვანი შედეგი იყო, რამდენადაც ეწინააღმდეგებოდა ძრავის თეორიაში მანამდე გავრცელებულ შეხედულებას. ამან და ძრავათა მაღლივი გამოცდების დროს მიღებულმა დიდმა ექსპერიმენტულმა მასალამ ვ. მახალდიანს საშუალება მისცა დაედგინა ზღვის დონიდან სიმაღლის ცვალებადობასთან დაკავშირებით ძრავის პარამეტრების ცვალებადობის კანონზომიერება და ჩამოეყალიბებინა ამ პარამეტრების გაანგარიშების მეთოდები.

ამ შედეგებმა საერთო აღიარება პოვა სპეციალისტთა შორის და საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას, რომელსაც სათავეში უდგას ვ. მახალდიანი.

ჩვენში შიგაწვეის ძრავების კვლევაში ახალი მიმართულების შექმნამ ვ. მახალდიანს უფრო მეტი საშუალება მისცა თავის გარშემო შემოკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა და ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. დიახაც აქვს უფლება ამაგდარ მეცნიერს იამაყოს თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებით, რომლებიც დღეს მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები არიან, გვერდში უდგანან მასწავლებელს და მისი ხელმძღვანელობით მუშაობენ მობილური მანქანების შიგაწვეის ძრავების თეორიისა და გაანგარიშების მეთოდებზე.

აკადემიკოს ვ. მახალდიანის ახალი გამოკვლევები დაკავშირებულია ახალი პერსპექტიული სისტემების შექმნასთან, რომლებიც წარმოდგენილია შრომებში: „როტაციული ფრთიანი მანქანები“, „ძრავები სითბოს გარე მიწოდებით“ და „როტაციული რეაქტიული ძრავები“.

დიდია ვ. მახალდიანის დამსახურება მეცნიერული მუშაობის ორგანიზაციის საქმეში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მანქანათა მექანიკის დარგში კვლევის საწარმოებლად მან დიდი საორგანიზაციო სამუშაო გასწია მანქანების მექანიკის სექტორის დასაარსებლად. 1960 წელს აღნიშნული სექტორის საფუძველზე შეიქმნა მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრია.

აკადემიკოსმა ასევე დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ენაზე უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების შექმნის საქმეს. ქართული ტექნიკური ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია ვ. მახალდიანის ორიგინალური სახელმძღვანელო „საავტომობილო და სატრაქტორო ძრავები“.

იგი მუდამ საყვარელი საქმით გატაცებული, დაუზარელი და ყურადღებიანია. მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის არასოდეს არ დაუზოგავს არც დრო, არც ენერგია. მართლაც რომ, სანიმუშო ერთგულებით უძღვებოდა იგი ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას“ როგორც მისი მთავარი რედაქტორი, ახლა კი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი აქტიური წევრია.

გამოჩენილი მეცნიერი არაერთხელ აურჩიეთათ სახალხო დეპუტატთა რაიონული თუ საქალაქო საბჭოების დეპუტატად, იგი ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს ადრეთვე როგორც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო საბჭოს „მანქანათა თეორია და მართვის პროცესების“ წევრი და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

აკადემიკოსი ვ. მახალდიანი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, შრომის წითელი დროშის, ორი სპატიო ნიშნის ორდენებითა და საბრძოლო მედლებით.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კვლავაც ბევრ სიკეთეს მოუტანს მშობელ ხალხსა და ქვეყანას ამ გამორჩეული ნიჭისა და უნარის მეცნიერს, გულისხმიერი მოღვაწისა და ორგანიზატორის დაუღალავი გარჯა.

რ. დვალი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

საქართველოს
ლენინური
ახალგაზრდა
29 იანვარი

მწვავე პროგლემების მარწუხებში

● **ვაშინგტონი.** უმუშევრობა, ინფლაცია და სხვა მწვავე პრობლემები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას ღრღნის, კვლავინდებურად იქნება ამერიკის საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნები. ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ფინანსთა მინისტრის დ. რიგანის გამოსვლამ სენატის ასიგნებათა კომისიაში, სადაც დაიწყო ქვეყნის ახლანდელი ეკონომიკური ვითარების მიმოხილვისადმი მიძღვნილი მოხსენება.

დეპუტატის მოთხოვნა

● **ბონი.** სტატიაში, რომელიც ჟურნალ „კონკრეტის“ მორიგ ნომერში გამოქვეყნდა, ბუნდესტაგის დეპუტატმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან კარლ ბაინე ბანზენმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისაგან მოითხოვა უარი თქვას ნატოს გადაწყვეტილების განხორციელებაზე ქვეყანაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების შესახებ. ასაბუთებს რა თავის მოთხოვნას, იგი ბაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დღემდე არ დუმტკიცებია სტატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეორე ხელშეკრულება.

პრეზიდენტის ინტერვიუ

● **პარიზი.** საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ფისკარ დესტენმა ტელევიზიით უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებზე საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. შეეხო რა საფრანგეთის მთავრობის საგარეოპოლიტიკურ მიზნებს, პრეზიდენტმა თქვა: ისინი უწინარეს ყოვლისა თვალსაზრისებენ იმას, რომ დაიცვან საფრანგეთის ინტერესები და მხარი დაუჭირონ მშვიდობას. ამასთან დაკავშირებით ვ. ფისკარ დესტენმა აღნიშნა, რომ საფრანგეთი ესწრაფვის დიალოგს სახელმწიფოებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით, კერძოდ დიალოგს უმაღლეს დონეზე სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამორიცხავს საფრანგეთის დაბრუნებას ნატოში.

მზად არიან განაგრძონ მოლაპარაკება

● **ლუანდა.** მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა მიზნებით ჩაიშალა ენერგეტ კონფერენცია ნამიბიის თაობაზე, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაცია მზად არის განაგრძოს მოლაპარაკება ნამიბიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ, განაცხადა ქალაქ ლუსანგოში ჩასულ ბოლოდ ცვლის საკითხთა მდივანმა ჰ. ნანიმამ.

მან დასავლეთის სახელმწიფოებს მოუწოდა ზეგავლენა მოახდინონ მათ მეგობარ პრეტორიის მთავრობაზე ოკუპირებული ტერიტორიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დაჩქარების მიზნით.

ᲣᲐᲑᲐᲮᲘ
კრეტენდენტთა ფინალური მატჩი

ალექსანდრიამ კვლავ მოიგო



მეტოქეები პრინციპულ დავას აგრძელებენ სიცილიური პარტიის ირგვლივ, ისევე, როგორც პირველ და მესამე პარტიაში, ალექსანდრიამ ამ დაცვას მიმართა, მაგრამ, „ყოველი შემთხვევისათვის“, ახლებური გეგმა აირჩია. მერვე სვლაზე იოსელიანის სადებიუტო შეცდომის შემდეგ, შავებს უკვე გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, რაც მეთოდიურად განამტკიცეს. იოსელიანის პოზიცია კრიტიკული გახდა. ამასთან იგი ისევე, როგორც წინა პარტიებში, ცაიტნოტში ალმოჩნდა.

პარტიის დასკვნითი ნაწილი ტაქტიკურ ბრძოლაში წარიმართა. იოსელიანის მხედველობიდან გამორჩა შენიღბული დარტყმა და უკვე უმიდო პოზიციაში მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა.

ანგარიში გახდა 3:1 ალექსანდრიას სასარგებლოდ. დღეს მეტოქეები დაამთავრებენ გადადებულ მეოთხე პარტიას.

აი გუშინდელი პარტიის ჩანაწერი:

1. e4 c5 2. ∅f3 d6 3. d4 cd 4. ∅:d4 ∅f6 5. ∅c3 a6 6. f4 ∅bd7 7. ♗e2 e5 8. ∅b3 b5 9. ♗f3 ♗b7 10. 0-0 ♗e7 11. ♕e1 ∅c8 12. a3 0-0 13. ♗:h7 ♔:h7 14. ♕g3 ♕c7 15. f:e de 16. ♗g5 ∅g6 17. ♗ad1 ♗a4 18. ∅d5 ∅:d5 19. ed ♗g5 20. d6 ♕b6 21. ♕:g5 f6 22. ♕f5 g6 23. ♕g4 e4 24. ♗e2 ∅:b2 25. ♗d2 ∅c4 26. ♗:c4 bc 27. ∅c1 ∅cd8 28. ♕f4 ♕c6 29. ♗fd1 ♗d7 30. ∅a2 ∅g7 31. ∅c3 e3 32. ♕:e3 ♗fd8 33. ♕g3 ♕c5 34. ∅e2 ♗e8 35. ♕g4 ♗c6 36. ∅d4 ♗:d6 37. ∅f5 ♕:f5 38. ♕:f5 ♗:d2 39. ♕g4 ♗:g2.

თეთრებმა დროს გადააცილეს.

გ. გამრეკელი.

XX საუკუნიერო ოლიმპიადა...

დღეს სპორტის სასახლეში სტატუს აიღებს თბილისის XX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ეს შეჯიბრება, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდრით არის გათვალისწინებული, ყოველთვის მსოფლიოს უძლიერეს ათლეტებს უყრიდა თავს. გამონაკლისს არც წლევანდელი ასპარეზობა შეადგენს.

ყველაზე წარმომადგენლობითი, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ნაკრება იქნება. თითოეულ წონითს კატეგორიაში — 4-4 მოჭიდავე. ამ სახეობის სპორტის ქართველი თაყვანისმცემლები იხილავენ მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონებს ს. კორნილაევს, რ. დმიტრიევს, ი. მატეს, მ. აბუშევს, ს. ოგანესიანს, ს. ანდიევს, ტყუპ ძმებს ა. და ს. ბელოგლაზოვებს, ვ. იუმინს და სხვებს.

საქართველოს ნაკრები (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. საღარაძე) ცალკე გუნდით გამოვა შეჯიბრებაში. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ზ. წოწორია (48 კგ), ზ. ტატუაშვილი (52), მ. მუზაშვილი (57), გ. ქენქაძე, მ. ხითარიძე, ბ. სარდანაშვილი, ა. ღვინჯილია (ოთხივე — 62), დ. გიგაური (68), ო. ყაჯაშვილი, თ. გაბოძე, ი. ჩადუნელი (სამივე — 82), რ. ხუტაბა, გ. ყურაშვილი (ორივე — 100) და ჯ. ტარიელაძე (ძმიმე წონა). გ. მაკასარაშვილი (74) ტურნირში დაიცავს საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას.

თბილისის „დინამო“ იუგოსლავიაში

29 იანვარს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები გაფრინდნენ იუგოსლავიაში. აქ ისინი ათი დღის განმავლობაში ჯერ გამართავენ ორ ამხანაგურ მატჩს, ხოლო შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ მინი-ტურნირში.

გუნდს მეთაურობენ მწვრთნელები ნ. ახალკაცი და კ. ასათიანი. „დინამოს“ შემადგენლობაში 16 მოთამაშეა — ო. გაბელია, გ. იმნაძე, თ. კოსტავა, ნ. ხიზანიშვილი, შ. ხინჩაგაშვილი, ლ. მელქაია, დ. მუჯირი, ზ. სვანაძე, ვ. დარასელია, ვ. ყვანია, ვ. გუცაევი, დ. ყიფიანი, ო. შენგელია, გ. ჩქარეული, გ. თავაძე და გ. ჯოხაძე.

ტრავმების გამო ვერ გაემგზავრნენ რ. ჩელებაძე, ნ. კაკილაშვილი და გ. ჭილაია, ხოლო ა. ჩივაძე და გ. სულაქვლიძე სპეციალური გეგმით ემზადებიან საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩებისათვის.

საგულრნიერო ოლიმპიადა

კალათბურთი. გაიმართა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ვილნიუსის „სტატბამ“ თავის მოედანზე მოუგო ტაშკენტის „უნივერსიტეტს“ — 88:73, ხოლო მინსკის „რტი-მ —ტალინის „კალევს“ — 100:86. რიგაში ადგილობრივი ვეფ-ი დამარცხდა ლენინგრადის „სპარტაკთან“ — 67:84, ხოლო კაუნასში თბილისის „დინამო“ ადგილობრივ „ჟალგირისთან“ — 85:89.

ფეხბურთი. გაიმართა მსოფლიო პირველობის (მეხუთე ევროპული ჯგუფი) შესარჩევი მატჩი საბერძნეთისა და ლუქსემბურგის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. წარმატება ბერძნების მხარეზე იყო — 2:0. საბერძნეთის ნაკრებს ახლა 4 ქულა აქვს (3 მატჩიდან). ამავე ქვეჯგუფში ასეთივე შედეგი აქვთ იუგოსლავებს, ხოლო ლიდერობენ იტალიელი ფეხბურთელები — 8 ქულა 8 შესაძლებლიდან.

ჰანდბალი. ლონარესში (ესპანეთი) მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე 8 ტურის შემდეგ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ესპანელ ბელონთან უარეს პოზიციაში შეწყვეტილი პარტია მსოფლიო ჩემპიონმა კარპოვმა ყაიმით დაამთავრა. მეორე გადადებული პარტია უნგრელ პორტიშთან ბელონმა წააგო, ხოლო დანიელმა ლარსენმა დაამარცხა იუგოსლავი გლიგორიჩი. IX ტურში კარპოვ-სპასკის შეხვედრაში ყაიმი აღინიშნა. ბელონმა მოუგო რიბლის (უნგრეთი), გლიგორიჩმა კინტეროს (არგენტინა), ხოლო კავალეკი („აშშ) და პორტიში დაზავდნენ. ორი პარტია გადაიდო. ახლა კარპოვი 7 ქულით ლიდერობს ტურნირში.

უპასუხაკებენ მხარეებს

რესპუბლიკის მხატვრები დირსეულად შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. დედაქალაქის თითქმის ყველა საგამოფენო დარბაზი მათ განკარგულებაშია.

თავისებური შემოქმედები თ. ინგაროშით წარსდგნენ საზოგადოებრივის წინაშე ამ დღეებში ფერმწერები და გრაფიკოსები, რომლებიც პრესაში, გამომცემლობებსა და ტელევიზიაში მუშაობენ. ექსპოზიციაში, რომელიც გაიხსნა „მერნის“ საგამოფენო დარბაზში, გამოფენილია 27 ავტორის 150 ნამუშევარი

ნამუშევრები გამოირჩევა აქტუალური შინაარსით და მაღალი პროფესიული დონით. ფართოდ არის წარმოდგენილი წიგნის გრაფიკა, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების ილუსტრაციები, სატელევიზიო დადგმებისა და მუსიკალური გადაცემების ესკიზები. მრავალფეროვანია ნამუშევართა შესრულების ტექნიკა— ზეთი, პასტელი, აკვარელი, ფანქარი, ტუში...

ექსპოზიცია გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯანბერიძემ. ვერნისაჟზე გამოვიდნენ რუსუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ბ. ბედინეიშვილი, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ტ. თაყაიშვილი და საქართველოს სახალხო მხატვარი გ. ფირცხალავა. (საქინფორმი).

გ. მრელაშვილი

გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1921 წლიდან სკკპ წევრი გიორგი ანდრიას ძე **მრელაშვილი.**

იგი დაიბადა 1901 წელს თელავის რაიონის სოფელ იყალთოში; შრომითი საქმიანობა დაიწყო მოჯამაგირედ. ადრე შევიდა კომკავშირის რიგებში. 1922 წელს აირჩიეს კომკავშირის თელავის რაიკომის მდივნად. 1922 წლიდან 1925 წლამდე მსახურობდა პირველ ქართულ ლეგიონში, 1925 წლიდან მუშაობდა პარტიის თელავის რაიკომის მდივნად. 1929 წლიდან 1932 წლამდე სწავლობდა ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის მოსკოვის კომუნისტური აღზრდის აკადემიაში.

1932 წელს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ სამუშაოზე. 1955 წლიდან იგი საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია.

ამხ. გ. ა. მრელაშვილი გამოირჩეოდა საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობით, უმეწაკლო და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

პარტიის ერთგული შვილის, თავდადებული მუშაკის კეთილი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ: ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ, ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

□ 2 თებერვალი

პირველი პროგრამაზე: 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.35 — მოსწავლეთათვის — ჩვენ ვასწავლობთ რუსულ ენას, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შენ“, 18.25 — მოსწავლეთათვის — „მე კომკავშრომელი ვარ“, 18.55 — „ბერანარი და მოზრდილები“. 19.40 — მუსიკალური შესვენება, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „კონცერტი, 20.55 — „ყაბარი“ — საგალეკვიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის მიხედვით მეოთხე სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — თბილისის ბრადიციული საერთაშორისო ფიგურისტული ფიგურული სრიალის შეჯიბრაობა, 23.35 — „მოამბე“ (დამის გამეორება).

მეორე პროგრამაზე: 18.35 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 19.05 — განცხადებები, 19.10 — „ფუსკალური ფოსტა“.

□ 3 თებერვალი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — საგალეკვიზიო დოკუმენტური ფილმი „ცოცხალი წყალი“, 10.00 — „მოამბე“. 10.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმენდა ვეფი“, 10.55 — საგალეკვიზიო დადგმა — „ათასი სული“ პირველი სერია, 12.10 — „გლობუსი“ გამეორებით, 13.05 — ამბერიიენგთათვის — ქართული ენა, 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.35 — შვილისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — „ჩვენი საკონსულგაცია“ დარბაზი“, 18.40 — „ალორძინება“. გამეორებით, 19.20 — „უკრავს ქეთევან თუმანიშვილი“, 19.50 — „მოამბე“, 20.20 — ჯადაცემა „კონსგანგინგინე წერეთელი“, 21.05 — „ყაბარი“ — საგალეკვიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის მიხედვით მეხუთე სერია. პრემიერა. (მ.), 22.00 —„ვრემია“ (მ.), 22.35 — „გიგანტი უთვალავი ფერიცვალი“ — ხალხური მუსიკის მოყვარულთათვის, 23.20 — „მოამბე“ (დამის გამეორება).

მეორე პროგრამაზე: 18.35 — რუსული ენა, მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 19.05 — განცხადებები, 19.10 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა.

□ 4 თებერვალი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — საგალეკვიზიო დოკუმენტური ფილმი „ალაკვთი“, 10.00 — „ახალგაზრდობის ქალაქი“, 10.30 — „მოამბე“, 10.30 — საგალეკვიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოქმედნი“, 11.25 — საგალეკვიზიო დადგმა „ათასი სული“. მეორე და მესამე სერია, 13.00 — „ეილეკორსი — მათემატიკაში“, 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.35 — შვილისწავლოთ ბერძნული ენა, 18.05 — განცხადებები, 18.10 — საგალეკვიზიო დოკუმენტური ფილმი „ხმაური“. 18.25 — მოსწავლეთათვის „მადლობა პარტიას“, 19.00 — „ჯარეულ კონფერენციაზე ითქვა — რა კეთდება?“. საუბარი „სსრ-ტრანსნაფტის გაფართოების გზით“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მიგორფოზთანაა პრადის რადიოს ორკესტრი, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — მ. მაჭავარიანის ლექსები, 12.30 — მეცნიერ-ბიბლიოგრაფი, 13.30 — „ბალეტი“ — „ალეგრეტა“ — „ბეთოვენი“ — „ბეთოვენ“ — „ბეთოვენ“ — „ბეთოვენ